



# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-31. 3123179001

თარიღი:28/06/2023

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### დადგენილება №14

2023 წლის 27 ივნისი

#### ქ. ლანჩხუთი

### **„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში (ვებგვერდი 26.12.2022, სარ. კოდი:190020020.35.112.0166503) და 1-ლი,მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13, მე-15, მე-16 მე-17, მე-18, 20-ე , მუხლები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციის შესაბამისად.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი

თავი I.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი				ათას ლარში 2023 წლის გეგმა			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		
<b>I. შემოსავლები</b>	<b>22,623.5</b>	<b>27,951.4</b>	<b>14,853.1</b>	<b>13,098.4</b>	<b>25,424.0</b>	<b>17,214.1</b>	<b>8,209.8</b>		
გადასახადები	9,778.5	11,828.7	11,828.7	-	12,739.0	12,739.0	-		
გრანტები	9,479.8	13,443.4	345.0	13,098.4	9,647.8	1,438.0	8,209.8		
სხვა შემოსავლები	3,365.3	2,679.4	2,679.4	-	3,037.1	3,037.1	-		
<b>II. ხარჯები</b>	<b>12,678.0</b>	<b>15,890.5</b>	<b>14,036.1</b>	<b>1,854.4</b>	<b>20,165.6</b>	<b>16,715.6</b>	<b>3,450.1</b>		
შრომის ანაზღაურება	5,127.4	6,165.8	6,165.8	-	7,220.4	7,220.4	-		
საქონელი და მომსახურება	5,457.1	6,679.7	5,839.9	839.8	8,387.9	7,249.0	1,139.0		
პროცენტი	30.0	28.7	28.7	-	31.9	31.9	-		
სუბსიდიები	553.3	732.6	732.6	-	774.7	774.7	-		
გრანტები	37.2	-	-	-	-	-	-		
სოციალური უზრუნველყოფა	607.2	916.4	916.4	-	843.4	843.4	-		
სხვა ხარჯები	865.7	1,367.2	352.6	1,014.6	2,907.3	596.2	2,311.1		
<b>III. საოპერაციო სალდო</b>	<b>9,945.6</b>	<b>12,061.0</b>	<b>816.9</b>	<b>11,244.0</b>	<b>5,258.3</b>	<b>498.6</b>	<b>4,759.8</b>		
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>8,807.0</b>	<b>12,073.7</b>	<b>1,536.0</b>	<b>10,537.7</b>	<b>10,136.5</b>	<b>2,692.9</b>	<b>7,443.6</b>		
ზრდა	9,286.6	12,442.0	1,904.2	10,537.7	10,247.0	2,803.4	7,443.6		
კლება	479.7	368.2	368.2	-	110.5	110.5	-		
<b>V. მთლიანი სალდო</b>	<b>1,138.6</b>	<b>- 12.8</b>	<b>- 719.1</b>	<b>706.3</b>	<b>- 4,878.1</b>	<b>- 2,194.3</b>	<b>- 2,683.8</b>		
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1,080.6</b>	<b>- 70.8</b>	<b>- 777.1</b>	<b>706.3</b>	<b>- 4,936.2</b>	<b>- 2,252.4</b>	<b>- 2,683.8</b>		
კლება	- 1,080.6	70.8	777.1	- 706.3	4,936.2	2,252.4	2,683.8		
ვალუტა და დეპოზიტები	- 1,080.6	70.8	777.1	- 706.3	4,936.2	2,252.4	2,683.8		
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>- 58.0</b>	<b>- 58.0</b>	<b>- 58.0</b>	<b>-</b>	<b>- 58.1</b>	<b>- 58.1</b>	<b>-</b>		
კლება	58.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-		
საშინაო	58.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-		
სესხები	58.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-		
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>-</b>	<b>0.0</b>	<b>- 0.0</b>	<b>-</b>	<b>0.0</b>	<b>- 0.0</b>	<b>- 0.0</b>		

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი				ათას ლარში 2023 წლის გეგმა			
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის			
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		

შემოსულობები	23,103.2	28,319.6	15,121.3	13,198.4	25,534.5	17,324.6	8,209.8
შემოსავლები	22,623.5	27,951.4	14,753.1	13,198.4	25,424.0	17,214.1	8,209.8
არაფინანსური აქტივების კლება	479.7	368.2	368.2		110.5	110.5	-
<b>გადასახდელები</b>	<b>22,022.6</b>	<b>28,390.4</b>	<b>15,998.4</b>	<b>12,392.1</b>	<b>30,470.7</b>	<b>19,577.1</b>	<b>10,893.6</b>
ხარჯები	12,678.0	15,890.5	14,036.1	1,854.4	20,165.6	16,715.6	3,450.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,286.6	12,442.0	1,904.2	10,537.7	10,247.0	2,803.4	7,443.6
ვალდებულებების კლება	58.0	58.0	58.0	-	58.1	58.1	-
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>1,080.6</b>	<b>- 70.8</b>	<b>- 877.1</b>	<b>806.3</b>	<b>- 4,936.2</b>	<b>- 2,252.4</b>	<b>- 2,683.8</b>

### მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 25,424.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსავლები</b>	<b>22,623.5</b>	<b>27,951.4</b>	<b>14,753.1</b>	<b>13,198.4</b>	<b>25,424.0</b>	<b>17,214.1</b>	<b>8,209.8</b>
გადასახადები	9,778.5	11,828.7	11,828.7	-	12,739.0	12,739.0	-
გრანტები	9,479.8	13,443.4	245.0	13,198.4	9,647.8	1,438.0	8,209.8
სხვა შემოსავლები	3,365.3	2,679.4	2,679.4		3,037.1	3,037.1	

### მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 9,647.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>გრანტები</b>	<b>9,479.8</b>	<b>13,443.4</b>	<b>9,647.8</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	50.00		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9,429.8	13,443.4	9,647.8
გათანაბრებითი ტრანსფერი			
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	220.0	245.0	380.0
კაპიტალური ტრანსფერი	5,615.1	6,312.8	3,513.1

სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	3,594.7	6,885.6	5,754.8
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	2,426.6	1,529.9	2,535.0
ფინანსური დახმარებისთვის გამოყოფილი			1,000.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხები	748.0	748.0	748.0
სხვა სახის ტრანსფერები	420.1	4,607.7	1,471.8

## მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 3,037.1 ათასი ლარით:

<i>ათას ლარში</i>			
დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>3,365.3</b>	<b>2,679.4</b>	<b>3,037.1</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	109.0	154.7	290.0
დივიდენდები			
რენტა	109.0	154.7	290.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	32.5	257.0	262.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	19.5	231.7	242.0
სანებართვო მოსაკრებელი	13.3	224.3	230.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი			
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	6.2	7.4	12.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	13.0	25.3	20.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	3,080.7	1,927.0	2,321.3
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	143.1	340.7	163.8

## მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 20,165.6 ათასი ლარით:

<i>ათას ლარში</i>							
დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>12,678.0</b>	<b>15,890.5</b>	<b>14,036.1</b>	<b>1,854.4</b>	<b>20,165.6</b>	<b>16,715.6</b>	<b>3,450.1</b>
შრომის ანაზღაურება	5,127.4	6,165.8	6,165.8	-	7,220.4	7,220.4	-
საქონელი და მომსახურება	5,457.1	6,679.7	5,839.9	839.8	8,387.9	7,249.0	1,139.0
პროცენტები	30.0	28.7	28.7	-	31.9	31.9	-
სუბსიდიები	553.3	732.6	732.6	-	774.7	774.7	-
სოციალური უზრუნველყოფა	607.2	916.4	916.4	-	843.4	843.4	-
სხვა ხარჯები	865.7	1,367.2	352.6	1,014.6	2,907.3	596.2	2,311.1

## მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 10,136.5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 10,247.0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 110,5 ათასი ლარით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	ათას ლარში		
		2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>23.5</b>	<b>3,096.9</b>	<b>2,272.9</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	23.5	3,096.9	2,272.9
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>8,872.9</b>	<b>8,839.2</b>	<b>7,177.8</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	7,233.8	6,924.4	4,614.3
02 02	წყლის სისტემების განვითარება	59.1	7.5	330.9
02 03	გარე განათება	1.5	199.9	10.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	67.6	98.4	298.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	117.5	38.2	105.0
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	-	-	-
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	415.7	380.8	500.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	243.8	510.5	539.5
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	734.0	679.4	780.1
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>	<b>5.6</b>	<b>12.0</b>	<b>7.0</b>
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	5.6	12.0	7.0
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა	-	-	-
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>	<b>217.6</b>	<b>206.1</b>	<b>288.0</b>
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	112.0	19.0	260.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	105.6	187.1	28.0
04 03	საბაზო ზოგადი განათლება			
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>163.8</b>	<b>287.8</b>	<b>500.0</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	117.6	27.2	257.4
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	46.2	260.6	242.6
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>3.2</b>	<b>-</b>	<b>1.4</b>
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3.2	-	1.4
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>9,286.6</b>	<b>12,442.0</b>	<b>10,247.0</b>

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	479.7	368.2	110.5
ძირითადი აქტივები	109.9	127.7	10.5
არაწარმოებული აქტივები	369.8	240.6	100.0
მიწა	369.8	240.6	100.0

**მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>3,100.3</b>	<b>7,104.9</b>	<b>7,040.6</b>
7.1.1	ადმსარულბელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,033.1	7,076.2	7,008.7
7.1.1.1	ადმსარულბელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,033.1	7,076.2	6,918.7
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	-	90.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	67.2	28.7	31.9
7.2	<b>თავდაცვა</b>	<b>135.6</b>	<b>176.6</b>	<b>185.5</b>
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	135.6	176.6	185.5
7.4	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>7,442.8</b>	<b>7,176.8</b>	<b>5,137.4</b>
7.4.5	ტრანსპორტი	7,442.8	7,176.8	5,037.4
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,422.8	7,154.7	5,014.3
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	20.0	22.1	23.1
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში			100.0
7.5	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>1,502.6</b>	<b>1,878.5</b>	<b>2,299.0</b>
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,502.6	1,878.5	2,299.0
7.6	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>3,117.0</b>	<b>3,713.1</b>	<b>6,112.1</b>
7.6.1	ბინათმშენებლობა	736.2	974.3	2,835.0
7.6.3	წყალმომარაგება	146.1	112.9	468.0
7.6.4	გარე განათება	525.7	866.7	769.5
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,709.0	1,759.2	2,039.6
7.7	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>164.9</b>	<b>165.8</b>	<b>194.5</b>
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	164.9	165.8	194.5
7.8	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>2,625.5</b>	<b>3,399.1</b>	<b>3,603.6</b>
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,324.6	1,461.1	1,684.4
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,232.4	1,580.8	1,879.2
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	68.5	357.2	40.0
7.9	<b>განათლება</b>	<b>3,172.4</b>	<b>3,784.8</b>	<b>4,920.0</b>
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	2,586.1	2,725.3	3,715.0
7.9.2	ზოგადი განათლება	586.3	1,059.4	1,205.0
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	586.3	1,059.4	1,205.0
7.10	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>703.5</b>	<b>933.0</b>	<b>920.0</b>
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	116.5	184.7	205.0
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	3.0	3.0	4.5
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	73.4	103.4	148.6
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	42.0	40.2	20.1
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	468.6	601.7	541.8
	<b>სულ</b>	<b>21,964.6</b>	<b>28,332.4</b>	<b>30,412.6</b>

**მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო**

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს **-4,878.0** ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო **5,258.3** ათასი ლარით:

*ათას ლარში*

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	9,945.6	12,061.0	5,258.3
მთლიანი სალდო	1,138.6	- 12.8	- 4,878.1

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს **-4,936.2** ათასი ლარით:

*ათას ლარში*

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	<b>1,080.6</b>	- <b>70.8</b>	- <b>4,936.2</b>
კლება	- 1,080.6	70.8	4,936.2
ვალუტა და დეპოზიტი	- 1,080.6	70.8	4,936.2

ფინანსური აქტივების კლება **4,936.2** ათასი ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებულ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2023 წლის განმავლობაში.

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთმა შეადგინა 5312,3 ათ ლარი. მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხის ჯამმა შეადგინა 2282,8 ათ ლარი. აქედან 2019 წლის 18 იანვრის N13 განკარგულებით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის 14,1 ათ.ლარი , 2020 წლის 9 იანვრის N27 განკარგულებით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის 182,9 ათ.ლარი, 02 თებერვლის 2021 წლის N147 განკარგულებით საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის 65,8 ათ.ლარი. 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერი 214,6 ათ ლარი, 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულების კაპიტალური ტრანსფერის ნაშთი 3,8 ათ ლარი, სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ტრანსფერი 30,1 ათ ლარი. 2019 წლის 14 მაისის N1063 განკარგულების ნაშთი 16,4 ათ ლარი, 2020 წლის 19 მარტის N574 განკარგულების ნაშთი 46,2 ათ ლარი, 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულების ნაშთი 55,6 ათ ლარი, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების სალიკვიდაციოდ განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილმა ნაშთმა შეადგინა 1655,0 ათ ლარი.

არსებული ნაშთებიდან მიიმართა 2022 წლის ბიუჯეტში შესაბამისი სამუშაოების დასაფინანსებლად 2095,7 ათ ლარი, ხოლო 187,1 ათ ლარი ექვემდებარება უკან დაბრუნებას. სახაზინო ანგარიშზე არსებული თავისუფალი ნაშთიდან 3020,7 ათ ლარი მიიმართა 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯების დასაფინანსებლად.

**თავი II. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები**



### მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 11,229.5 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
02 00	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>11,229.5</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,014.3
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	4,424.3
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	350.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	240.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	468.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	317.7
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	150.3
02 03	გარე განათება	769.5
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	759.5
02 03 02	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	10.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2,835.0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	298.0
02 04 02	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	2,537.1
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	150.0
02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	100.0
02 06 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	40.0
02 06 04	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია, რეაბილიტაცია	10.0
02 06 05	სასაფლაოს მოვლა-პატრონობა	-
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	23.1
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	550.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	539.5
02 10	სოფლის პროგრამის მხარდაჭერა	780.1
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	100.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების კაპიტალური შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		4424,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების და ხიდების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია. კერძოდ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია პროექტები რომელთა განხორციელება დაწყებულია 2022 წელს და დასრულდება 2023-2024 წელში:</p> <p><b>1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. შუხუთიდან გაგურის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია</b></p> <p><b>2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ნიგოთის გვიმბალაურის, ნინოშვილის, მამათის, აცანის, შუხუთის, ჯურუყვეთის, ნიგვიანის, ჩოჩხათის, ლესის და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია</b></p> <p>ასევე განხორციელდება ნიგოთისადმ. ერთეულში სოფ. ქვიანში წმ. გიორგის ქუჩის რეაბილიტაცია, ლესის ადმ. ერთეულში ე.წ. ტურუალის უბნისკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია, ჩიბათის მუნიციპალიტეტში სოფ. ჭალაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია. სტიქიის შედეგად დაზიანებული ქალაქის, მახვარეთის და ჩოჩხათისადმ. ერთეულებში დაზიანებული გზის რეაბილიტაციის დასრულება (პროექტი დაიწყო 2022 წელს) სუფსის, ჩოჩხათის და ღრმაღელის ადმ. ერთეულში დაზიანებული ხიდების და გზის რეაბილიტაცია.</p> <p>გარდა აღნიშნული პროექტებისა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დამატებითი სახსრებით, აგრეთვე ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია</p>		



	განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.
მიღწეული შედეგი	მოსახლეობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; მგზავრთა გადაადგილების დროის შემცირება; ავტოსატრანსპორტო საშუალებების ცვეთის შემცირება; ტურიზმის ხელშეწყობა; მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მიმდინარე შეკეთება	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		350,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ე.წ. ორმული შეკეთება); არასაფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას, მილხიდების რეაბილიტაციას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას და სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები შესაძლებელია განხორციელდეს საგზაო ინფრასტრუქტურის იმ მონაკვეთებზე, რომლებზეც წლის განმავლობაში გამოიკვეთება სამუშაოების შესრულების აუცილებლობა. ასევე, გზის გაწმენდითი სამუშაოები შესრულდება საჭიროების შესაბამისად		
მიღწეული შედეგი	ქ. ლანჩხუთში, ასევე სოფლების დამაკავშირებელი გზებს ჩაუტარდა მიმდინარე შეკეთება (ორმული სამუშაოები, მოხრეშვა). შესრულებული სამუშაოები უსაფრთხოს გახდის ამ გზებზე გადაადგილებას. 2023 წელს რეაბილიტირებული გზებით საერთო ჯამში ისარგებლებს ადგილობრივი ქალაქ ლანჩხუთის და სოფლების მოსახლეები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		468.0
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის წყლის უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. რიგ შემთხვევებში პროგრამა ასევე მოიცავს, სარწყავი და სანიაღვრე არხების მოწყობა რეაბილიტაციას.</p> <p>პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქ ლანჩხუთში, ასევე მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში წყლის მიწოდება;</li> <li>- მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს;</li> <li>- წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.</li> </ul> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა და წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა. ექსპლოატაციის ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები,</p>		

	<p>ხოლო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა უმეტესწილად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან. მიმდინარე ეტაპზე პროგრამის შედეგადად 1 ქვეპროგრამისაგან - წყლის სისტემის ექსპლოატაციის ქვეპროგრამა.</p> <p>წყლის სისტემის განვითარების პროგრამა შინაარსის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული (წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ახლის მოწყობა), ასევე, მომსახურების (წყლის სისტემის ექსპლოატაცია). რაც შეეხება მის ხანგრძლივობას, იგი ინფრასტრუქტურულ ნაწილში წარმოადგენს მრავალწლიან, ხოლო მომსახურების ნაწილში მუდმივმოქმედ პროგრამას.</p>
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოიფხვრება დროულად.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		317,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში, ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ახალი წყლის სისტემების ქსელზე მიერთების საფასურის გადახდა.</p> <p>გარდა ამისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით და წლის განმავლობაში ჩატარებული ტენდერებით წარმოქმნილი ეკონომიებით შესაძლებელია განხორციელდეს სხვა პროექტებიც. პროექტების შერჩევა განხორციელდება მოსახლეობის მომართვიანობისა და წლის განმავლობაში წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის გათვალისწინებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში მოქმედებს სასმელი წყლის მიწოდების 24 საათიანი გრაფიკი; მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნია შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის ექსპლუატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		150,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (გარდა ქ. ლანჩხუთისა) 5600 კომლის წყალმომარაგებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის შეუფერხებელ წყლის მიწოდებას.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- დაზიანებული მონაკვეთების აღდგენითი სამუშაოები.</li> <li>- მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა;</li> <li>- დაზიანებული ტუმბოების შეკეთება;</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის წყლის შეუფერხებელი მიწოდება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		769,5
პროგრამის აღწერა	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისთვის და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. მუნიციპალურ ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტში), გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 75%. გარე განათების სისტემა მოიცავს 1100-ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 8000-ზე მეტ სანათ წერტილს, 30000 გრძელ მეტრზე მეტ სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 500,0 ათასი ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის</p>		

	<p>ანაზღაურებას.</p> <p>პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია;</li> <li>- კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში.</li> </ul> <p>გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური/ინფრასტრუქტურული ხასიათის, ასევე - მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება-გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციას (მ.შ. მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას).</p> <p>ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლოატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი.</p> <p><b>2023 წლის ბიუჯეტიდან</b> ასიგნებები გამოყოფილია მხოლოდ გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის ქვეპროგრამაზე. ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, ხოლო კაპიტალური დანახარჯები უმეტესწილად გაიწევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერით.</p>
პროგრამის საბოლოო მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განათება, ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		759,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება.</p> <p>დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 80%.</p> <p>(დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;</li> <li>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება;</li> <li>- ქსელის დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა, შეკეთება.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		10,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარე განათების ქსელზე მიერთების ხარჯებს		
მოსალოდნელი შედეგი	გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		298
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დასრულდება ახალგაზრდული ცენტრი", რომელიც ითვალისწინებს ქალაქ ლანჩხუთში, თავისუფლების ქ. #26-ში ადაპტირებული სივრცის მოწყობის " სამუშაოები, რომელიც დაიწყო 2022 ასევე განხორციელდება 2023 წლის იანვრის თვეში სტიქიის შედეგად დაზიანებული ბალანსზე რიცხული არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია.
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობისთვის მოწყობილი ადაპტირებული სივრცე, მოვლილი ადმინისტრაციული შენობები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>02 04 02</b>	<b>საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>2537,1</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არსებობს მრავალბინიანი შენობები რომლებიც საჭიროებენ რეაბილიტაციას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ლანჩხუთში არსებული დაზიანებული მრავალბინიანი სახლების სახურავების კაპიტალური შეკეთება-რეაბილიტაცია.კერძოდ, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია : 1. ქ.ლანჩხუთში გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის საძირკველის გამაგრების სამუშაოების დასრულება , რომელიც დაიწყო 2022 წელს 2. 2023 წლის სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ვადა გაიზრდება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>02 06 01</b>	<b>საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>100,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მონაწილეობითი ბიუჯეტის პროგრამის გამარჯვებული პროექტი, კერძოდ ებრალიძის ქუჩის N27 ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის, მიმდებარე რეკრიაციული ზონის მოწყობა, ასევე განთავსდება განათების ბოძკიტები და სკვერის სკამები.		
მოსალოდნელი შედეგი	შეიქმნება ადგილობრივი მოსახლეობის დასვენებისთვის კეთილმოწყობილი და უსაფრთხო სივრცე		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>02 06 03</b>	<b>სადღესასწაულო ღონისძიებები</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>40,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	<b>ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს საახალწლო ღონისძიებების უზრუნველყოფას, სადღესასწაულო კომფორტული გარემოს შექმნასა და მოსახლეობის განწყობის ამაღლებას. საახალწლოდ შესაბამისად განხორციელდება ქალაქის მორთვა საახალწლო დეკორატიული განათებებით ; მორთვება ქალაქ ლანჩხუთის ცენტრალური მოედანი, შადრევანი და მიმდებარე ქუჩები. ასევე განხორციელდება ქალაქის გაფორმება სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქის საახალწლო დეკორაციებით გაფორმების სამუშაოები: საახალწლო ნათურების მონტაჟი, ქალაქში მთავარი ნაძვის ხის მონტაჟი /დემონტაჟის ღონისძიებები და სხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის ქალაქის გაფორმება.		



მოსალოდნელი შედეგი	სადღესასწაულო დღეებში მორთული ქალაქი; მოსახლეობის სადღესასწაულო განწყობის ამაღლება.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 07</b>		<b>23,1</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული სამარშუტო ხაზები, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლების მიმართულებით ხორციელდება ტრანსპორტით გადაადგილება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტრანსპორტით შეუფერხებელი გადაადგილება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 08</b>		<b>550,0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს)		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 09</b>		<b>539,5</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ არის ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობის აუცილებლობა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული ნაპირსამაგრების რეაბილიტაცია და ახალი ნაპირსამაგრების მოწყობა.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების კერძოდ ჩოჩხათის, ნიგვზიანის, ნიგოთის, სუფსის და ღრმაღელის ნაპირსამაგრის მოწყობა-რეაბილიტაცია</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მოწყობილი ნაპირსამაგრები დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას.		

	კოდი	<b>სოფლის პროგრამის მხარდაჭერა</b>	დაფინანსება ათას ლარში
--	------	------------------------------------	------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	02 10	748.1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც განხილული და შეჯერებული იქნება თვით მოსახლეობასთან	
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიიღწევა ყველა ადმინისტრაციული ერთეულში მცხოვრები მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა	დაფინანსება ათას ლარში
	02 11		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა მოიცავს განხორციელების შემდეგ ეტაპებს:</p> <p>ა) ბიზნეს იდეების კონკურსის გამოცხადება;</p> <p>ბ) ბიზნეს იდეების მიღება;</p> <p>გ) ბიზნეს იდეების გადარჩევა;</p> <p>დ) ბენეფიციარების გადამზადება;</p> <p>ე) ბიზნეს გეგმების წარდგენა;</p> <p>ვ) ბიზნეს გეგმების შეფასება;</p> <p>ზ) გამარჯვებული პროექტების გამოცხადება;</p> <p>თ) გამარჯვებული პროექტების დაფინანსება;</p> <p>ი) გამარჯვებული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგი;</p> <p>კ) პროგრამის შეფასება.</p> <p>პროგრამის მიზნებს წარმოადგენს:</p> <p>ა) სოფლის მეურნეობის (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) მხარდაჭერა;</p> <p>ბ) აგროტურისტული პოტენციალის განვითარება;</p> <p>გ) ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების ხელშეწყობა, მათ შორის სოფლად მცხოვრებ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა;</p> <p>დ) დასაქმების ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის ფარგლებში მიიღწევა დაახლოებით 15-მდე ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა		

## მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4,920.0 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
04 00	განათლება	4,920.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	3,715.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	-
04 03	განათლების ხელშეწყობა	38.0
04 04	განათლების ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა	28.0
04 05	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	1,139.0

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>04 01</b>		<b>3715.0</b>
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 21 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 1050-ზე მეტი ბავშვი. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 100 აღმზრდელი და ადმინისტრაციული პერსონალი.</p> <p>„სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია:      ბავა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;      ბავა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;      ბავა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;      ბავა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკურ რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;      ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა;      ბავა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p> <p>ა(ა)იპ - სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები. ა(ა)იპ ში დასაქმებული პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p>		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>განათლების ხელშეწყობა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>04 03</b>		<b>38,0</b>
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების თანადაფინანსებას;      საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანების სხვადასხვა შემეცნებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას;      ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე მოპოვებული 100% გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოთი წახალისებას ;      ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი;</p>		



	სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებით, პროფესიულ, სადღესასწაულო დღეებზე, მოსწავლე-ახალგაზრდებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე წარმატებული და ღვაწლმოსილი ადამიანების ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა თუ ფასიანი საჩუქრით წახალისებას ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა და ფასიანი საჩუქრით.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტი, შესაძლებელი იქნება საგანმანათლებლო ღონისძიებებზე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, წარმატებული მოსწავლეებისა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება.

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტი უზრუნველყოფა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>04 05</b>		<b>1139</b>
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის, განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას. პროგრამაში ჩართულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 24 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომელთა სკოლებში ფიზიკური გამოცხადება პრობლემას წარმოადგენს და რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო კრიტერიუმებს. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის.		
მოსალოდნელი შედეგი	შესაძლებელი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 1800 მდე მოსწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს მათი განათლების ხარისხის გაზრდას.		

## მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **3,603.6** ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
05 00	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>3,603.6</b>
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,684.4
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,366.4
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	609.4
05 01 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	
05 01 01 03	სტადიონის ფუნქციონირება	207.0
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	167.0
05 01 01 05	საფეხბურთო სკოლის ხელშეწყობა	383.0
05 01 01 06	საფეხბურთო კლუბის ხელშეწყობა	-
05 01 02	სპორტის ხელშეწყობა	68.0
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	250.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1,894.2
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,624.2
05 02 01 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	1,153.5
05 02 01 02	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	470.7
05 02 02	კულტურის ხელშეწყობა	30.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	200.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	40.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	25.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 01		609.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია 5-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისა და ახალგაზრდების ფიზიკური განვითარება სპორტული ცენტრი აერთიანებს 11 სპორტულ მიმართულებას, ესენია: თავისუფალი ჭიდაობა, ქართული ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, ცურვა, მაგიდის ჩოგბურთი, კარატე, ჭადრაკი, კალათბურთი და სპორტული ტანვარჯიში. სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 380 ბავშვი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-4 ჯერ. სპორტულ ცენტრში დასაქმებულია ჯამში 65 ადამიანი, მათ შორის, 25 ტექნიკური და 47 ადმინისტრაციული პერსონალი და მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ლეზულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.</p> <p>ქვეპროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;</li> <li>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;</li> <li>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ფორმირება; სპორტული ტრადიციების დაცვა, გარდამავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა, სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ინდუსტრიის განვითარება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტადიონის ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01 03		207
